ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ზ-12/14294610-16

"02" 12 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დასახლება თემქა, პურის ქარხნის მიმდებარედ, (ნაკვეთი 01/024)/ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება 11 მ/რ (საკ. კოდი №01.12.05.001.051) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამრეწველო ზონის მომსახურებისათვის მრავალფუნქციური (სუპერმარკეტი, საზკვება, ბანკი, აფთიაქი) შენობა–ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1416986 01.08.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დასახლება თემქა, პურის ქარხნის მიმდებარედ, (ნაკვეთი 01/024)/ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება 11 მ/რ (საკ. კოდი №01.12.05.001.051) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ზოგიერთ ადგილას შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი და გაბარიტები. ზოგიერთ ადგილას დამატებულია სარეკლამო ბანერები, გამწოვები და მილები. შეცვლილია მოპირკეთების ხაზები. შეცვლილია ზოგიერთი ფრამუგის გაბარიტი.

ფასადი 1-8 ღერძებში: +5.250 ნიშნულზე 5-6 მონაკვეთში სარეკლამო ბანერის უკან დამატებულია წითელი ფერის მოპირკეთება.

ფასადი i-a ღერძებში: b–a მონაკვეთში დამატებულია კონდიციონერები. +0.00 ნიშნულზე დამატებულია კედლის დეტალი. I–I ღერძზე +5.250 ნიშნულზე დამატებულია ლითონის დეტალი. h–g მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი.

ფასადი 8-1 ღერძებში: +0.00 ნიშნულზე 6-5 მონაკვეთში დამატებულია ლითონის კიბე. 5-4 მონაკვეთში დამატებულია ლითონის კონსტრუქცია და მასზე განთავსებულია კონდიციონერები. დამატებულია წყლის მილი. 3-2 მონაკვეთში შეცვლილია ნიშების გაბარიტი.

ფასადი a-i ღერძებში: +5.250 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრის ნახატი.

შენობის შიგნით შეცვლილია ზოგიერთი კოლონის ფორმა და ზოგიერთს შორის მანძილი. 1-4 და d–b მონაკვეთებში დამატებულია დიაფრაგმები. ზოგიერთ ადგილას კედლები და ვიტრაჟები მოწყობილია კოლონების გარედან. C–b მონაკვეთში შეცვლილია კიბეზე საფეხურები. +0.00 ნიშნულზე 7-7 და g1-g1 ღერძების კუთხეზე კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი. +9.750 ნიშნულზე d–c მონაკვეთში 2-2 ღერძთან გაზრდილია კიბის უჯრედში ფილის გაბარიტი.

სახურავზე 6-6 ღერძთან დამატებულია ბაქანი და დანადგარები. g1-g1 ღერძზე დამატებულია გადახურვის ნაწილი. შემცირებულია 4-4 ღერძზე მოწყობილი პარაპეტის სიმაღლე, დამატებულია მილები. 3-4 მონაკვეთში შემცირებულია სახურავზე ამოსასვლელი სივრცის სიმაღლე.

ფასაზებზე შენობის ძირში არ არის ნაჩვენები ბორდიური.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი გენ. გეგმაზე ნაჩვენები პანდუსი, გაზრდილია საფეხურები და დამატებულია დაბალი კედლები. შეცვლილია პროექტში ნაჩვენები გამწვანება და დამატებულია გარე განათების სვეტები. პროექტში არ არის ნაჩვენები ორი ჭიშკარი. საყვავილის ნაწილი გასულია საკადასტრო წითელი საზღვრიდან პროექტში ნაჩვენებზე.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მამუკა ქვრივიშვილს, ქ. თბილისში, დასახლება თემქა, პურის ქარხნის მიმდებარედ, (ნაკვეთი 01/024)/ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება 11 მ/რ (საკ. კოდი №01.12.05.001.051) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამრეწველო ზონის მომსახურებისათვის მრავალფუნქციური (სუპერმარკეტი, საზკვება, ბანკი, აფთიაქი) შენობა–ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14294610-16 21.10.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუკურიშვილი